საქართველო

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

№ 44 “ 10 “ 05 “ 2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარეს

ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №10 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ოფიციალური მოთხოვნის სახით გიგზავნით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ სოფ. ფანშეტში (მდ. თერგზე) გადასასვლელი ხიდის და თრუსოს ხეობაში (მდ. თერგზე) ლითონის გადასასვლელი ხიდის მშენებლობის საპროექტო და შემდგომში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საკონკურსო განცხადებას, რათა უზრუნველყოთ მისთვის ნომრის მინიჭება და განთავსება თქვენს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დანართი საკონკურსო განცხადება.

პატივისცემით

საკრებულოს თავმჯდომარე: ზ.ალიბეგაშვილი

საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი დ.სტეფანწმინდა,4700, ალ.ყაზბეგის ქ.№1, ტელ. 790 57 01 12; 790 57 01 17; ს/კ 241499473; **www. kazbegi.org.ge.**

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების

შესყიდვის განცხადება

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს,რომელსაც გააჩნია აღნიშნულ სფეროში საქმიანობის გამოცდილება.

2.კონკურსის მიზანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. ფანშეტში (მდ.თერგზე) გადასასვლელი ხიდის და თრუსოს ხეობაში ლითონის გადასასვლელი ხიდის მშენებლობის საპროექტო და შემდგომში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 26000 (ოცდაექვსი ათასი) ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე (http://procurement.gov.ge)

5 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება და საპროექტო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ კონკურსის გამოცხადებიდან მაქსიმუმ 6 სამუშაო დღეში შემდეგ მისამართზე დ.სტეფანწმინდა,ალ.ყაზბეგის ქ.#1,ადმინისტრაციული შენობის 1 სართული საკონკურსო კომისიის აპარატში.

10.საკონკურსო წინადადებების განხილვა კომისიის მიერ მოხდება 2013 წლის 24 მაისის 12 საათზე.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის და სსიპ :ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე 15 დღის განმავლობაში,

13. ჩვენს მიერ მითითებულია საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით) (შენიშვნა იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე);

კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს

. განმარტებითი ბარათი

• გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა.

• ინფორმაცია მომსახურების მიწოდების შესახებ;

. საკონკურსო წინადადების ფასი

ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ,ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად,თანდართული ხელშეკრულებების ასლებით.

• რეკვიზიტები.

ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 26000 (ოცდაექვსი ათასი) ლარს არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება ქულებით შეფასების სისტემით:

• პროექტი,ხარჯთაღრიცხვა -კოეფიციენტი-0.6

• საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი-0.3

. ანალოგიური სამუშაოს გამოცდილება-კოეფიციენტი-0.1

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

18 . გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან დაახლოებით 20 დღეში დასრულებული (საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველის შეხედულებისამებრ კორექტირებული) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე უნდა წარმოადგინოს თითოეულ

საბოლოო პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაზე სსიპ :ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნა,ასევე პროექტირების პროცესში პროექტი უნდა შეათანხმოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.

19 გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.

20. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია ყველა პროექტზე ცალცალკე. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლიარად ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს. ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს SHP ფაილში ან „ავტოკადში“.

21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

22. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი მისამართზე: დ.სტეფანწმინდა,ალ.ყაზბეგის ქ.#1,ტელ.591 27 63 33.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. ფანშეტში (მდ.თერგზე) გადასასვლელი ხიდის და სოფ. ფანშეტში (მდ.თერგზე) გადასასვლელი ხიდისსაპროექტო და შემდგომში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. განმარტებითი ბარათი;

2. საინჟინრო გეოლოგიური და ჰიდროლოგიური დასკვნა(საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ფანშეტის ხიდზე)

3.ტოპოგრაფიული გეგმა

4.ნაგებობის ტექნიკური მაჩვენებლები,მახასიათებლები და ჭრილები

5.არქიტექტურული ნაწილი(ხედები,ფასადები)

6.კონსტრუქციული ნაწილი-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტი

7.მშენებლობის ორგანიზების პროექტი

8.პროექტის დეტალური ხარჯთაღრიცხვა

9. სსიპ :ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნა.

ზემო აღნიშნული პროექტების სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს;

- სოფ. ფანშეტში (მდ.თერგზე) გადასასვლელი ხიდის-630 000 ლარს

-თრუსოს ხეობაში ლითონის გადასასვლელი ხიდის -180 000 ლარი

-საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ასევე საავტორო ზედამხედველობა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ

მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების თანხა	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/ ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი

მომსახურე ბანკი,ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში;

ხელმძღვანელის ხელმოწერა - - - -- - - - - - -- -- -

ბ.ა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკონკურსო

კომისიის სხდომის

ოქმი №1

დ.სტეფანწმინდა 10.05 .2013 წელი

თავმჯდომარე: ზაზა ალიბეგაშვილი–ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ,კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: გივი ქირიკაშვილი- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მ/შემსრულებელი, კომისიის წევრი.

იოანე გელაშვილი- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მ/შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ნოდარ ავსაჯანიშვილი -გამგეობის ეკონომიკური განვითარების,
სტატისტიკური ინფორმაციის, ქონების მართვისა
და ადგილობრივი მოსაკრებლების
სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი, წევრი.

ჯემალ სუჯაშვილი– ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი
მოწყობის,არქიტექტურისა და
სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის
სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი. წევრი.

ლელა ფიცხელაური-ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი
მოწყობის,არქიტექტურისა და სამშენებლო
საქმიანობაზე ზედამხედველობის
სამსახურის მთავარი სპეციალისტ ზედამხედველობის
საკითხებში ,წევრი

ხათუნა გომიაშვილი –ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი, წევრი;

ავთანდილ ფიცხელაური-დ.სტეფანწმინდის ტერიტორიული ერთეულის
რწმუნებული წევრი;

ელბერდი ხართიშვილი-სნოს ტერიტორიული ერთეულის
რწმუნებულის მ/შემსრულებელი წევრი;

გია ავსაჯანიშვილი- სიონის ტერიტორიული ერთეულის
რწმუნებულის მ/შემსრულებელი წევრი;

ლარისა ხოსიშვილი-გორისციხის ტერიტორიული ერთეულის
რწმუნებულის მ/შემსრულებელი წევრი;

გელა შიოლაშვილი-კობის ტერიტორიული ერთეულის
რწმუნებულის მ/შემსრულებელი წევრი;

დღის წესრიგი

კონკურსის მეშვეობით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ.არშაში მდ.თერგზე 150 გრძ/მ.სიგრძის ნაპირსამაგრი სამუშაოების (გაბიონების მოწყობა),სოფ.გორისციხეში დაახლოებით 1500 გრძ/მ.სიგრძის დასოფ. ყანობში 1200 გრძ/მ.სიგრძის წყალსადენის სათავე ნაგებობის მშენებლობის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის ,სოფ.ცდოში მაგისტრალური წყალსადენის (დამატებითი) მშენებლობის და სოფლის შიდა ქსელების რეაბილიტაციის,სოფ.სნოში სანიაღვრე მილსადენის, სოფ.ფანშეტში (მდ.თერგზე) გადასასვლელი ხიდის და თრუსოს ხეობაში (მდ.თერგზე) გადასასვლელი (ლითონის ხიდის) მშენებლობის საუკეთესო პროექტების გამოვლენისა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ხ.გომიაშვილი

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა ხათუნა გომიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საკონკურსო განცხადებებისა ის და საკონკურსო დოკუმენტაციების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ალიბეგაშვილმა აღნიშნა,რომ უმჯობესია საკონკურსო წინადადებაში მოთხოვნილ იქნეს პირობა ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ არანაკლებ 1 წელი და ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს.

ასევე საკონკურსო კომისიის წევრმა: გივი ქირიკაშვილმა აღნიშნა,რომ უმჯობესია ზ/აღნიშნული პროექტები გაიყოს 2 ნაწილად და გამოცხადდეს 2 კონკურსი,ხიდებზე ცალკე და წყლებზე და ნაპირსამაგრებზე ერთად.

ასევე აზრი გამოთქვეს ჯემალ სუჯაშვილმა და ნოდარ ავსაჯანიშვილმა.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა,რომ ზ/აღნიშნულ საკითხს მხარი არ დაუჭირა საკონკურსო კომისიის არცერთმა წევრმა და ხმათა უმრავლესობით გადაწყდა,რომ უმჯობესია მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ,თანდართული ხელშეკრულებების ასლებით და შეფასების კრიტერიუმში მოხდეს მისი შეფასება 0.1 ქულით.

კომისიამ დაადგინა:

1. შეტანილი იქნეს ზ/აღნიშნული ცვლილება საკონკურსო დოკუმენტაციაში და

ასევე გამოცხადდეს 2 კონკურსი ხიდებზე ცალკე და წყლებზე და ნაპირსამაგრებზე ერთად.

2.დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ.არშაში მდ.თერგზე 150 გრძ/მ.სიგრძის ნაპირსამაგრი სამუშაოების (გაბიონების მოწყობა),სოფ.გორისციხეში დაახლოებით 1500 გრძ/მ.სიგრძის დასოფ. ყანობში 1200 გრძ/მ.სიგრძის წყალსადენის სათავე ნაგებობის მშენებლობის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის ,სოფ.ცდოში მაგისტრალური წყალსადენის (დამატებითი) მშენებლობის და სოფლის შიდა ქსელების რეაბილიტაციის,სოფ.სნოში სანიაღვრე მილსადენის მშენებლობის სოფ.ფანშეტში (მდ.თერგზე) გადასასვლელი ხიდის და თრუსოს ხეობაში (მდ.თერგზე) გადასასვლელი (ლითონის ხიდის)პროექტების საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციების პროექტი

2.საკონკურსო წინადადებების განხილვის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 24 მაისის 12 საათი.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს ხათუნა გომიაშვილს უზრუნველყოს განცხადების (თანდართული დოკუმენტებით) გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მისი გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ზ. ალიბეგაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: გ. ქირიკაშვილი

ი. გელაშვილი

ნ. ავსაჯანიშვილი

ჯ. სუჯაშვილი

ლ.ფიცხელაური

ხ. გომიაშვილი

ა. ფიცხელაური

ე. პაპიაშვილი

გ. ავსაჯანიშვილი

ლ. ხოსიშვილი

გ. შიოლაშვილი